ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3176318

ნომერი: AR1489336

თარიღი : 24.03.2017

გაცემის თარიღი : 03.04.2017

გაცნობის თარიღი : 05.04.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის პლატო , II, III და IV მ/რ-ების მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვეთი N 015/127) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იოსებ მდინარაძე პ/ნ 01024009459
- თბილისი ა.ცაგარელის ქ. N 10

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 24 მარტის AR1489336 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2009 წლის 22 სექტემბრის №908 დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას საკადასტრო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტი დადგენილია სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2)-ის პირობებითა და პარამეტრებით, თუმცა სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2)ის საცხოვრებელ ზონა-3 (სზ-3)-ად ცვლილების საკითხი, დოკუმენტის დადგენილს ეტაპზევე, პარალელურად გადაგზავნილ იქნა ქ. თბილისის საკრებულოში და სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ჩაწერილ იქნა შემდეგი პირობა: „წინამდებარე სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები ძალაში შევა მხოლოდ ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით, საკრებულოს დადებითი გადაწყვეტილების შემდგომ.“ ვინაიდან აღნიშნული პირობა არ განხორციელებულა, დღევანდელი მდგომაროებიდან გამომდინარე, 2009 წლის 22 სექტემბრის №908 სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია, მხოლოდ არსებული, საცხოვრებელი ზონა-2 (სზ-2)-ის დამატების კუთხით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2017 წლის 24 მარტის AR1489336 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.